

კლინიკური აუდიტი

„გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებისა და დიაბეტის უკეთესად მართვა“
პირველადი ჯანდაცვის ინტეგრირებული მიდგომის მოდელის დანერგვის მიზნით,
საოჯახო მედიცინის ეროვნულ სასწავლო ცენტრი

თებერვალი-ივლისი, 2024 წელი

უკანასკნელ წლებში, საქართველოში კვლავაც მაღალი რჩება არაგადამდები დაავადებებით გამოწვეული ტვირთი. საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სტრატეგიები განსაზღვრავს იმ ამოცანებსა და დეტალურ ღონისძიებებს, რაც პირველადი ჯანდაცვაში არაგადამდები დაავადებების მართვის მიმართულებით უნდა განხორციელდეს, რათა მიღწეულ იქნას დაავადებათა კონტროლის ამოცანები და ქვეყანამ, გრძელვადიან პერსპექტივაში, შეძლოს ამ დაავადებებით გამოწვეული ტვირთის შემცირება. საქართველოს ჯანდაცვის მთავრობა, ასევე, გეგმავს პირველადი ჯანდაცვის რეფორმას, რომელიც ითვალისწინებს ყველაზე გავრცელებულ ქრონიკული დაავადებების ადრეული გამოვლენისა და მართვის ხარისხის გაუმჯობესებას.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ეხმარება საქართველოს პირველადი ჯანდაცვაში რეფორმის განხორციელებაში, რომლის მთავარი ამოცანა, ასევეა გავრცელებული ქრონიკული დაავადებების მართვის ხარისხის გაუმჯობესება არტერიული ჰიპერტენზიისა და შაქრიანი დიაბეტის ინტეგრირებული მართვის მოდელის გამოყენებით.

ამ მიმართულებით განსაკუთრებულად აღსანიშნავია 2020 წელს ჯანმოს მიერ განხორციელებული პროექტი „საქართველოში არაგადამდებ დაავადებათა ინტეგრირებული პრევენციისა და კონტროლის მიზანშეწონილობის კვლევა“, რომლის ფარგლებშიც შესწავლილი იქნა თუ როგორ ხდება პირველადი ჯანდაცვის სერვისების მიმწოდებელ დაწესებულებებში, საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ჰიპერტენზიისა და დიაბეტის მართვა, (დაფინანსებულია დანიის მთავრობის მიერ და ევროკავშირის მიერ, საყოველთაო ჯანდაცვის (UHC) - პარტნიორობის ფარგლებში).

კვლევა მიზნად ისახავდა მიდგომის (ინსტრუმენტარიუმის) დანერგვის მიზანშეწონილობის შეფასებას, რომელიც ეყრდნობოდა პირველადი ჯანდაცვის სფეროში არაგადამდებ დაავადებებთან (ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტი და ჰიპერტენზია) დაკავშირებული მომსახურების შესაფასებელ რუტინულ კლინიკურ მონაცემებს, მათი ხარისხიანად მართვის მიზნით. აღნიშნული პროექტის განმახორციელებელი იყო შპს „საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი“, რომლის ფარგლებშიც შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე, 1000 პაციენტის ინდივიდუალური ჩანაწერებიდან მოხდა წინასწარ მითითებულ მონაცემთა მოპოვება,

სტანდარტიზებულ ფორმებში განთავსება და ინფორმაციის ანალიზი. კვლევითი ჯგუფის მიერ აღწერილ იქნა, წინასწარ განსაზღვრულ პერიოდში თუ როგორ ხდებოდა გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებისა და დიაბეტის მაღალი რისკის მქონე პაციენტების იდენტიფიცირება, მართვა და შემდგომი მეთვალყურეობა პირველად ჯანდაცვაში.

2019 წელს კომპანია „საოჯახო მედიცინის ეროვნულ სასწავლო ცენტრში“ განხორციელებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ:

- პაციენტთა უმრავლესობაში (87%) არაგადმდები დაავადები დიაგნოსტირებულია და მართავენ პირველადი ჯანდაცვის პროფესიონალები, სპეციალისტთან მიმართვის გარეშე.
- კარდიო-ვასკულურ დაავადებათა ზოგიერთი რისკ-ფაქტორი კარგად არის აღწერილი სამედიცინო ჩანაწერებში - ჩანაწერების დაახლოებით ორ მესამედში დაფიქსირდა პაციენტის მოწვევის სტატუსი და გაზომილია სმ.
- დიაბეტიან პაციენტებს შორის, არტერიული წნევა რეგულარულად იზომება, მაგრამ საჭიროა მისი კონტროლის გაუმჯობესება.
- ანალიზმა დაადგინა, რომ პაციენტების მესამედი განიცდის გულ-სდ სისტემის დაავადებების და დიაბეტის მაღალ რისკს.
- ტიპი 2 დიაბეტით დაავადებულ პაციენტთა უმეტესობას (72%) დაენიშნა ტაბლეტები, ინსულინი დაინიშნა პაციენტების (21% -ში), ხოლო 4% -ში დაინიშნული იყო როგორც ტაბლეტები, ასევე ინსულინი.

2021 წელშიც, ჯანმოსთან თანამშრომლობის საფუძველზე განხორციელდა პირველად ჯანდაცვაში ჰიპერტენზიასთან და დიაბეტთან დაკავშირებული სხვადასხვა აქტივობები მ.შ. გაიდლაინების/პროტოკოლების/გზამკვლევების შემუშავება/განახლება, აკრედიტებული პროგრამებით მულტიდისციპლინური ტრენინგების ჩატარება, ძირითადი და მიღწევადი ინდიკატორების იდენტიფიცირება, კლინიკური აუდიტის ჩატარებაზე ზედამხედველობა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში შერჩეულ კლინიკებში და სხვ.

2020-2021 წლების კოვიდპანდემიამ ძალიან შეაფერხა პაციენტებთან პირისპირ ვიზიტი, შესაბამისად დააზიანა არაგადამდებ დაავადებათა მართვის პროცესები და დაეცა მომსახურების ხარისხი, თუმცა ამასთანავე, ხელი შეუწყო ტელემედიცინის გამოყენებას და მის შემდგომ განვითარებას, რაც სახელმწიფოს სტრატეგიულ ამოცანად იქცა და მომდევნო წლებშიც გაგრძელდა.

ერთი მხრივ, დისტანციურმა ვიზიტებმა გაამარტივა პირველად ჯანდაცვასთან ხელმისაწვდომობა, თუმცა, მეორე მხრივ, პაციენტების პირისპირ ვიზიტების შემცირება, გარკვეულწილად უარყოფითად აისახა მომსახურების ხარისხზე. თუმცა 2023 წლისათვის, დაწესებულებამ მოახერხა პრევენციული დეპარტამენტის აქტივობების განახლება, რომელიც ფაქტიურად არ ფუნქციონირებდა პანდემიის

პერიოდში, ასევე, შეირჩა, დაინიშნა და გადამზადდა პრევენციის დეპარტამენტის პერსონალი, რადგანაც პანდემიის პერიოდში პრევენციის პერსონალმა, დატოვა დაწესებულება.

2023 წელს, სახელმწიფოსა და დონორული პროექტების მხარდაჭერით განახლდა და დამტკიცდა პირველად ჯანდაცვაში გავრცელებული არაგადამდებ დაავადებების მართვის გაიდლაინები/პროტოკოლები/გზამკვლევები, რაშიც აქტიურ მონაწილეობას, ასევე, იღებდა „საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირი“ და კომპანია „საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრის“ ოჯახის ექიმები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიის პერსონალის ინიციატივით გადაწყდა ისევ დავბრუნებოდით კლინიკური აუდიტის ციკლს და გაგვეგრძელებინა მისი გამოყენება, ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესებისა და პირველადი ჯანდაცვის რეფორმისათვის მზადების მიზნით.

ტერმინთა განმარტება

ნიმუში - მონაცემთა ის მინიმალური რაოდენობა/მცირე ნაკრები, რომელიც აირჩევა უფრო დიდი რაოდენობიდან, წინასწარ განსაზღვრული ტექნიკით და გადახრის მეთოდების გამოყენებით, რაც განაპირობებს კვლევის მაღალი სარწუნოების დონის შედეგებს და რომლის მახასიათებლების/შედეგების განზოგადოება შესაძლებელია მთელ საკვლევ მასალაზე.

შესწავლის პერიოდი - მომსახურების ხარისხის შეფასების მიზნით, მომსახურების მიწოდების პერიოდში შესრულებული სამუშაო

ჯანმრთელობის ინდიკატორი - ჯანმრთელობის სისტემის გაზომვის მხარდამჭერი ანალიტიკური/მზომი ინსტრუმენტი/მაჩვენებელი, რომელიც აღწერს სიტუაციას და გამოიყენება ამა თუ იმ მოვლენის თუ პროცესის და ა.შ. შესაფასებლად.

ანუ ერთჯერადი გაზომვა იმისა, რისი ანგარიშგებაც ხდება რეგულარულად და იძლევა მნიშვნელოვან და პრაქტიკული ღირებულების მქონე ინფორმაციას, ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და/ან ჯანმრთელობის სისტემის ფუნქციონირებასა და მახასიათებლებზე. ინდიკატორი იძლევა ინფორმაციის შედარების შესაძლებლობას, ასევე, პროგრესის და შესრულების დინამიკის შეფასების საშუალებას, დროთა განმავლობაში.

მონაცემები - შესრულების დროს გენერირებული მაჩვენებლები, ფაქტები და სტატისტიკა, რომლებიც აუცილებელია ხარისხის გასაზომად/ანალიზისთვის.

მონაცემთა წყარო - შესწავლის პერიოდში მომსახურების მიმწოდებლის მიერ განხორციელებული სამედიცინო ჩანაწერები, რომელიც გამოიყენება წინასწარ განსაზღვრული, კონკრეტული მონაცემების შეგროვების მიზნით.

ვიზიტის განმარტება - პაციენტის პირისპირ ვიზიტი ოჯახის ექიმთან, გამორიცხვის კრიტერიუმი - მხოლოდ ადმინისტრაციული პროცედურა/რეცეპტის გამოწერა/დისტანციური ვიზიტი.

ზოგადი პოპულაცია - საერთო მოსახლეობა, რომლის ნიმუშიც შეირჩა ვიზიტების საერთო ჟურნალიდან, ნებისმიერი მიზეზით მომართვის ყველა შემთხვევიდან. კონკრეტული კვლევისთვის 2023 წლის 1 იანვრამდე პაციენტი უნდა იყოს 40 წლის ან მეტი.

პაციენტები ტიპი 2 მაქრიანი დიაბეტით სპეციფიკურად შეირჩა ოჯახის ექიმებთან არსებული შესაბამისი დაავადების რეგისტრიდან, ვინაიდან ტიპი 1 დიაბეტით პაციენტებს მკურნალობა უტარდებათ სპეციალიზებული სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. აღნიშნული ნიმუშის ასაკი - 2023 წლის 1 იანვრამდე პაციენტი უნდა იყოს 18 წლის ან მეტი.

გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკის შეფასება

ნებისმიერი ინსტრუმენტით განხორციელებული გულ-სისხლძარღვთა დაავადებების/გართულებების რისკის შეფასება (მაგ. ESC, WHO/ISH, Framingham, Score და სხვ.), დაფიქსირებული პაციენტის სამედიცინო ჩანაწერში.

აუდიტის მიზანი:

პირველად ჯანდაცვაში გავრცელებული ქრონიკული დაავადებების მართვის მოდელის დანერგვის ხელშეწყობა, არტერიული ჰიპერტენზიის და ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის მაგალითზე.

ამოცანები:

1. გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების, არტერიული ჰიპერტენზიის და შაქრიანი დიაბეტის ადრეული დიაგნოსტიკა და გართულებების რისკის შეფასება.
2. აღნიშნული დაავადებების მართვა, მკურნალობა და მიმდინარე მეთვალყურეობა, „საუკეთესო პრაქტიკისა“ და ქვეყანაში დამტკიცებული სტანდარტების შესაბამისად.
3. პაციენტის სწორი და ღროული რეფერალი შესაბამის სპეციალისტთან.
4. 2019 და 2023 წლებში, მიწოდებული მომსახურების შედარებითი ანალიზი

სამიზნე კონტიგენტი

საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის გეგმიური ამბულატორიული კომპონენტის მოსარგებლები, რომლებიც 2023 წელს მომსახურება მიიღეს შპს „საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრში“.

საკვლევი ნიმუშის შერჩევის კრიტერიუმები

საკვლევი ნიმუში შეირჩა რანდომიზებულად, 2 სიდიდან, შემდეგი კრიტერიუმებით:

1. პაციენტი 2023 წელს რეგისტრირებული იყო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის გეგმიური ამბულატორიული ქვეკომპონენტის მოსარგებლედ;
2. **ნიმუში ზოგად პოპულაციური კვლევებისთვის** - 40+ წელზე უფროსი ასაკის მოზრდილი პაციენტები, რომელთაც 2023 წელს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, ნებისმიერი მიზეზით, განახორციელეს ოჯახის ექიმთან ვიზიტი.
3. **ნიმუში ტიპი 2 დიაბეტის მართვის ხარისხის** შეფასების მიზნით - დაწესებულებაში არსებული ტიპი2 დიაბეტით დაავადებული 18 წლის ზევით მოზრდილი პაციენტების 2023 წლის რეგისტრი, რომელსაც დაემატება 40 წლის ზევით პაციენტთა ზოგადპოპულაციის ნიმუშის შესწავლისას გამოვლენილი ტიპი 2 დიაბეტის შემთხვევები.

საკვლევი ნიმუშის რანდომიზაციის პროცესი

პირველი ნაბიჯი იყო პაციენტთა ორი სიის შექმნა, რათა რანდომულად განსაზღვრულიყო სამედიცინო ჩანაწერების ის მინიმალური რაოდენობა, რომელიც განაპირობებდა აღნიშნული კვლევის მაღალი სარწმუნოების შედეგებს:

1. ზოგად პოპულაციური კვლევებისთვის შევარჩიეთ **40+ წელზე უფროსი ასაკის მოზრდილი პაციენტები**, რომლებიც დაწესებულებას ეწვივნენ გასულ წელს (01.01.2023 – 31.12.2023), ნებისმიერი მიზეზით;
2. ტიპი2 დიაბეტის ხარისხის შესასწავლად კი დამატებით გამოვიყენეთ **დიაბეტით დაავადებული 18 წლის ზევით მოზრდილი პაციენტების 2023 წლის რეესტრები**.

მეორე ნაბიჯი იყო ნიმუშებისათვის პაციენტების ჩანაწერების შემთხვევითი შერჩევა.

2023 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე ვიზიტების სიიდან თითოეული ექიმისთვის შერჩეული ზოგადპოპულაციური ნიმუში მომზადდა ჰჯდ გუნდების მიხედვით - ერთ ექიმზე 60 პაციენტი, ხოლო შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა რეგისტრის გამოყენებით შეირჩა თითოეული უბნისთვის - T2 დიაბეტით 12 პაციენტის სია.

მეთოდი, რომელიც ჩვენ გამოვიყენეთ Excel-ში მონაცემების რიგების შემთხვევითი არჩევისთვის - ყოველი მწკრივის ახალ სვეტში გამოვიყენეთ ფორმულა "`= RAND()`". ამან მოგვცა შემთხვევითი რიცხვი 0-დან 1-მდე. დახარისხდა მონაცემები ადრე გენერირებული შემთხვევითი რიცხვების მიხედვით - უმცირესიდან უდიდესამდე.

შემთხვევითი რიცხვის მიხედვით დახარისხების შემდეგ, საბოლოოდ კვლევისათვის გამოვიყენეთ 650 პაციენტის ID - ზოგადი პოპულაციის ნიმუშისთვის (ნიმუშის ზომა იყო - 540 პაციენტის სამედიცინო ჩანაწერი) და 108 პაციენტის ID - ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის ნიმუშისთვის.

სამედიცინო ჩანაწერების განაწილება ნიმუშებისა და გუნდების მიხედვით

შერჩევის კრიტერიუმები	სამიზნე ასაკი	პჯდ გუნდების რაოდენობა	რანდომულად შერჩეული ნიმუში
ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტით	18 წლის ზემოთ	9 პჯდ გუნდი	108
ზოგადი პოპულაცია	40 წლის ზემოთ	9 პჯდ გუნდი	540

აუდიტის მიმდინარეობის პროცესში, რომელშიც მონაწილეობდა 10 პჯდ გუნდი, კვლევაში ჩართულმა ერთმა ოჯახის ექიმმა დატოვა დაწესებულება, რის გამოც გადაწყდა კვლევა გაგრძელებულიყო 9 პჯდ გუნდის მიერ მიწოდებული მომსახურების ხარისხის შესაფასებლად, რადგანაც აღნიშნული სამედიცინო აუდიტის ჩატარების ერთერთი ამოცანა, ასევე, საკუთარი პრაქტიკის შეფასებას/თვითშეფასებას და საკუთარი მიდგომებისა და ქცევის შეფასებასაც მოიცავდა.

ზოგადი პოპულაციის ნიმუში შეირჩა პაციენტთა ვიზიტების რეგისტრაციის ჟურნალიდან, სადაც 01.01.2023-31.12.2023წწ პერიოდში რეგისტრირებული იყო 13654 პაციენტის 50740 ვიზიტი ოჯახის ექიმთან (შენიშვნა: 2024 წლის მარტამდე უკვე მოხსნილი იყო 2023 წელს მომსახურება მიღებული 1462 პაციენტი, რომელმაც 2023 წლის განმავლობაში ოჯახის ექიმთან განახორციელა 4274 ვიზიტი). აღნიშნულ პაციენტთა სიიდან რანდომულად შეირჩა 40 წლის ზევით 6580 პაციენტი, რომელიც 2024 წლის 1 მარტისთვის დარჩა ოჯახის ექიმთან რეგისტრირებულთა სიაში, როგორც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მოსარგებლე.

დაწესებულებისათვის, 2023 წელს მიმაგრებული კონტიგენტის საშუალო რაოდენობა შეადგენდა 28,000 მოსახლეს;

ხოლო T2 დიაბეტის ამონარჩევი გაკეთდა ტ2 შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა რეგისტრიდან (910 პაციენტი). დეტალების იხილეთ ქვემოთ ცხრილში:

პჯდ გუნდი	ზოგადი პოპულაცია >40	T2 შაქრიანი დიაბეტი
PHC 1 - MB	916	115
PHC 2 – LG	637	57
PHC 3 – EG	822	119
PHC 4 – NG	856	111
PHC 5 – NK	535	95
PHC 6 – VK	525	88
PHC 7 – NL	596	63
PHC 8 – IM	649	80
PHC 9 – IC	539	73
PHC 10 – NJ	505	109
სულ, ჯამურად	6580	910

მომსახურების ხარისხის გაზომვა - ინდიკატორები

წინასწარ განისაზღვრა მონაცემთა ელემენტები და პროცესისა და გამოსავლების იმ ინდიკატორების ჩამონათვალი, რომლის გაზომვაც, დაწესებულებისა და თითოეული პჯდ გუნდის დონეზე, მოახდენდა ოჯახის ექიმების მიერ მიწოდებული სერვისების ხარისხის შეფასებას და დამტკიცებული პროტოკოლების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.

აუდიტის დაწყებამდე განხორციელდა ჯანდაცვის მინისტრის მიერ ახლადდამტკიცებული პროტოკოლების/გზამკვლევების და საერთაშორისო სერიოზული ლიტერატურული წყაროების მიმოხილვა.

ევიდენსებზე დაფუძნებული კრიტერიუმების/სტანდარტების დასმა და კრიტერიუმების შემუშავება (სტრუქტურა, პროცესი/გამოსავალი), ექიმებთან და გუნდის სხვა წევრებთან სერიოზული განხილვების შემდეგ განხორციელდა.

ინდიკატორების ნაკრების ძირითადი ჩარჩო დაეფუძნა 2020-2021 წლებში ჯანმოს მიერ განხორციელებულ (დანიის მთავრობისა და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული) „საქართველოში არაგადამდებ დაავადებათა ინტეგრირებული პრევენციისა და კონტროლის მიზანშეწონილობის კვლევის ფარგლებში“ განსაზღვრულ ინდიკატორებს, რასაც დაემატა გარკვეული ინდიკატორები ახლადდამტკიცებული პროტოკოლების მოთხოვნათა შესაბამისად.

მონაცემთა ელემენტები

ასევე, წინასწარ განისაზღვრა იმ მონაცემთა ელემენტები/ჩამონათვალი, რისი შეგროვებაც, ანალიზის საფუძველზე მოგვემდო თითოეული გუნდის მიერ მიწოდებული სპეციფიკური ამოცანის შესაბამისად, სერვისის ხარისხის გაზომვის საშუალებას ანუ ინდიკატორს.

მონაცემთა შესწავლის პერიოდი

2023 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე

მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგია

მონაცემების შეგროვება განხორციელდა რეტროსპექტულად, ინდივიდუალური პაციენტის სამედიცინო ჩანაწერებიდან წინასწარ განსაზღვრული მონაცემების ამოღებით და სტანდარტიზებულ ფორმებზე შეგროვებული მონაცემების რეგისტრირებით.

მონაცემთა შეგროვების პროცესი

მონაცემთა შემგროვებელი - 10 ოჯახის ექიმი დაესწრო 2-საათიან პირისპირ ტრენინგს, მონაცემთა ელემენტების განსაზღვრის, მათი შეგროვებისა და მონაცემთა წყაროს იდენტიფიცირების მიზნით.

სამედიცინო ჩანაწერების შესარჩევად გამოყენებული იყო საკვლევ პერიოდში პაციენტების ვიზიტების რეგისტრაციის ჟურნალები და ტიპი 2 დიაბეტის 2023 წლის რეეტრები, Excel ფორმატში. საიდანაც რანდომიზების წესით შეირჩა ნიმუშები, Google-ის შემთხვევითი რიცხვების გენერატორის გამოყენებით, წინასწარ განსაზღვრული ჩართვის კრიტერიუმების საფუძველზე.

იმის უზრუნველსაყოფად, რომ გვექონდა საკმარისი მასალა რანდომიზაციის პროცესის და შედეგების ვალიდაციისათვის, სია მოიცავდა საჭიროზე მეტ პაციენტს, რომელიც აკმაყოფილებდა აუდიტის კრიტერიუმებს.

ამ მეთოდოლოგიის გამოყენებით, თავდაპირველად რანდომულად შეირჩა 650 პაციენტის ID ზოგადი პოპულაციის ნიმუშისთვის და 120 პაციენტის ID ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის ნიმუშისთვის; საბოლოოდ გაანალიზდა 648 პაციენტის სამედიცინო ჩანაწერები - 540 ზოგადპოპულაციის ამონარჩევი და 108 დიაბეტის ნიმუში.

გამოყენებული იყო სულ, 648 პაციენტის სამედიცინო ჩანაწერი - ზოგიერთი პაციენტის ჩანაწერი ჩანაცვლებული იყო სხვა პაციენტის ჩანაწერით, სხვადასხვა მიზეზების გამო:

- რანდომიზაციის პროცესში განსაზღვრული პაციენტს, რეგისტრაცია გაუქმებული ჰქონდა მალევე;
- შერჩევის პერიოდში არცერთი ჩანაწერი არ დაფიქსირებულა, მიუხედავად იმისა, რომ ვიზიტი ჩაწერილია Excel-ის რეესტრში;
- ვიზიტები მხოლოდ რეცეპტით შემოიფარგლა;
- ვიზიტი პაციენტის თანხმობით, ჩაატარა პაციენტის ნათესავმა;
- დაუბლირებული მონაცემები, როდესაც პაციენტს ჰქონდა ორი ჩანაწერი და მათგან ერთი უკვე განხილულია;
- ვიზიტი განხორციელდა მხოლოდ ადმინისტრაციული პროცედურისთვის, როგორცაა ცნობის აღება და ა.შ.

კვლევის ნებისმიერი მონაცემის და შედეგისთვის თვალყურის მიდევნება/ მიკვლევალობა მარტივადაა შესაძლებელი.

მონაცემთა შემგროვებლების მიერ განხორციელდა ინდივიდუალური პაციენტის ჩანაწერებიდან მონაცემების ამოღება და გადატანა წინასწარ შემუშავებულ და შეთანხმებულ, სპეციალურად შექმნილი Excel ფორმატის გაზიარებულ ფაილში (ოფლაინ ფორმა).

მონაცემთა მოპოვების სტანდარტიზებული პროცესის უზრუნველსაყოფად, მონაცემთა შემგროვებლები რეგულარულ შეხვედრებს ატარებდნენ ყოველდღიურად, შეგროვების პროცესის დასაწყისში, შემდეგ კი საჭიროების შემთხვევაში, არანაკლებ ყოველკვირეულად.

მიღებული მონაცემების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, რეგულარულად ხორციელდებოდა ფორმებში რეგისტრირებული მონაცემების ჯვარედინი შემოწმება გარედან და ასევე, პროცესში ჩართული სხვადასხვა მონაცემთა შემგროვებლის მიერ.

მენიშვნა

ლოკალურ დონეზე დიაბეტისა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების მართვის ხარისხის შეფასების მიზნით, ზოგადპოპულაციაში სულ შესწავლილი იქნას 540 პაციენტის სამედიცინო ჩანაწერი, ხოლო ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის ნიმუშში სულ, 108 პაციენტის სამედიცინო ჩანაწერი.

ოჯახის ექიმის პრაქტიკის უკეთ გასაგებად, გადაწყდა, რომ სასარგებლო იქნებოდა კომპანიის 9 პჯდ გუნდის სამედიცინო ჩანაწერების საფუძველზე, ოჯახის ექიმის მიმართებებისა და ქცევის ერთმანეთთან შედარება (1 ოჯახის ექიმი ავადმყოფობის გამო გამოეთიშა აუდიტის პროცესს).

კლინიკურ აუდიტს, ასევე, მიენიჭა განსაკუთრებულად მაღალი საგანმანათლებლო ღირებულება - კრიტერიუმისა და სტანდარტების დასმის პროცესში ხდებოდა ლიტერატურული ძიებების წარმოება, დისკუსიები, მონაცემთა ელემენტების და მათი წყაროების განხილვა, მიმდინარე შედეგების რეგულარული განხილვა, საკუთარი და კოლეგის ჩანაწერების შეფასება, ყველა გამოტოვებულ შემთხვევაში გამოყენებული იყო კალკულატორები - BMI, eGFR, კარდიო-ვასკულური რისკების შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები (ESC, WHO/ISH EUR B, Framingham, Score, Q-risk) და სხვ., რომელიც ანგარიშებში წარმოდგენილია როგორც **არასაანგარიშგებო პერიოდში** განხორციელებული აქტივობა.

აღნიშნულ აუდიტს ჰქონდა სამოტივაციო/წამახალისებელი დატვირთვა და შედეგებიც ასევე, იყო ძალიან შთამბეჭდავი.

მონაცემთა ანალიზი

განხორციელდა შეგროვილ მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება, რის შემდეგაც შედეგების გაანალიზება მოხდა ისევ, 9-ვე პჯდ გუნდის ყველა წევრის აქტიური მონაწილეობით. აუდიტის პროცესში ხშირმა და ხანგრძლივმა შეხვედრებმა ხელი შეუწყო თანამშრომლობის გაძლიერებას და მულტი დისციპლინურ გუნდებთან გაზიარებული გაგების მიღწევას.

განმეორებით იქნა განხილული 2019-2020 წლის აუდიტების შედეგები, ასევე, 2023 წელს გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებისა და ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის განახლებული პროტოკოლების საფუძველზე, დასამატებელი ინდიკატორებისა და მონაცემთა ელემენტების სტრუქტურა, რომელიც წარმოდგენილია დანართების სახით.

მონაცემთა ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი სურათი, რომელიც ასევე, შედარდა ჯანმოს პროექტის ფარგლებში 2019 წელს განხორციელებული კვლევის შედეგებს:

ზოგადმონაცემთა ნაკრები

დემოგრაფიული მონაცემები (ცხრილი 1A, 1B)

განხილული იყო 540 პაციენტის სამედიცინო ჩანაწერი.

მიღებული მონაცემები შედარებული იქნა 2019 წელს ჯანმოს/დანის პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგებთან.

დემოგრაფიული მახასიათებლები	პჯდ გუნდები			
	ზოგადპოპულაციის ნიმუში		min	max
სქესი/ასაკი	2019	2023	2023	2023
ქალი, % (n/N)	67.1(167/249)	77.8(420/540)	65%	85%
მამაკაცი, % (n/N)	32.9(82/249)	22.2(120/540)	15%	35%
ასაკი, საშუალო (IQR)	65(54-75)	68(40-91)	64წ	72წ
18-39 წწ, % (n/N)	0.0(0/249)	0.0(0/540)	0%	0%
40-49 წწ, % (n/N)	15.3(38/249)	5.4(29/540)	0%	8.3%
50-59 წწ, % (n/N)	22.5(56/249)	13.5(73/540)	6.7%	30%
60-69 წწ, % (n/N)	24.5(61/249)	35.2(190/540)	25%	45%
70-79 წწ, % (n/N)	25.3(63/249)	37.8(204/540)	23.3%	48.3%
80+ წწ, % (n/N)	12.4 (31/249)	8.1(44/540)	0%	16.7%

დემოგრაფიული მახასიათებლების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ:

- ზოგადპოპულაციურ ნიმუშის ვიზიტების სტრუქტურაში 2019წ პაციენტების საშუალო ასაკია 65 წელს, ხოლო 2023წ - 68 წელი;
- სქესის მიხედვით, ზოგადპოპულაციაში ჭარბობს ქალების ვიზიტი და შეადგენს 2019წ - 67.1%/ს, ხოლო 2023 წ - 77.8%;

არაერთგვაროვანია წარმოდგენილი მაჩვენებლები პჯდ გუნდების მიხედვით, ასაკობრივი და სქესის ჭრილში, 2023 წლის დეტალური მონაცემები შეგიძლიათ იხილოთ დანართში - ცხრილი 1B; საიდანაც ირკვევა, რომ დაწესებულების საშუალო ასაკი - არის 65 წელი, ხოლო ყველაზე მაღალი საშუალო ასაკი ზოგად ნიმუშში - 72 წელი, დაფიქსირდა პჯდ გუნდში - PHC 1 – MB და ყველაზე დაბალი - 64 წელი დაფიქსირდა პჯდ გუნდში - PHC 9 – IC - ცხრილი 1B.

ყველა პაციენტი - რისკ-ფაქტორები (ცხრილი 2A, 2B)

როგორც ქვემოთ ცხრილიდან ირკვევა, მწვევლების რაოდენობა 2023 წელს, ზოგადპოპულაციის ნიმუშში გაზრდილია და შეადგენს 12,6%, ხოლო დიაბეტის ნიმუშში მნიშვნელოვნადაა გაზრდილი და შეადგენს 19.4%-ს, რაც მიუთითებს მწვევლობის სტატუსის შეფასების შედეგად, მისი გამოვლენის გაზრდაზე - 2019 წელს მწვევლობის სტატუსი მითითებული იყო 61%-ში, ხოლო 2023 -ში 86.1%-ია ზოგადპოპულაციაში, ხოლო დიაბეტის ნიმუშში შესაბამისად 65.5% და 89.9% (ცხრილი 3A).

2023 წლის აღნიშნული კვლევის მონაცემები შესაბამისობაშია STEPS 2016 წლის კვლევების მონაცემებთან, რომლის ფარგლებშიც მოზრდილ მოსახლეობაში მამაკაცთა დაახლოებით 34% და ქალების 7% არიან მწვევლები. ასაკობრივი კატეგორიის გათვალისწინებით, 60-69 ასაკშიც კი მწვევლობა შეადგენს 19% მამაკაცებში და 4% ქალებში.

2019-2023 წლების რისკ-ფაქტორების განაწილება წარმოდგენილია ქვევით და ასევე, დანართში (ცხრილი 2A):

რისკ-ფაქტორები	2019	2023	2023	2023
ზოგადპოპულაციის ნიმუში			min	max
მწვევლი, % (n/N)*	10.7(28/262)	12.6(68/540)	1.7%	25%
მ.შ. ქალი	3.7(6/162)	7,9(33/420)	NA	NA
მ.შ. მამაკაცი	22(22/100)	29,2(35/120)	NA	NA
არამწვევლი (სულ), % (n/N) **	91,8(138/152)	87,4(472/540)	75%	98.3%
ჰიპერტენზია, % (n/N)	65.9(164/249)	77.2(417/540)	55%	100%
დიაბეტი, % (n/N)	11.6(29/249)	11.3(61/540)	5%	23.3%
CVD-ის ისტორია, % (n/N)	21.7(54/249)	26.7(144/540)	10%	65%

SBP, საშუალო ± SD	127.0 ± 13.8	128,4 ± 12,7	125,9 ± 8,6	130,7 ± 12,7
DBP, საშუალო ± SD	77.4 ± 7.1	76,8 ± 8,1	76,0 ± 4,6	78,7 ± 9,5
FG, საშუალო ± SD	5.9 ± 2.9	5.5 ± 1.7	5,4 ± 0,1	8,6 ± 4,2
TC, საშუალო ± SD	5.3 ± 1.2	5.2 ± 1.19	195,3 ± 10,9	233,9 ± 21,6
სმი საშუალო BMI, ± SD	27.7 ± 5.4	29.0 ± 5.1	27.2 ± 3.3	32.2 ± 5.1

რაც შეეხება განსხვავებებს ჰჯდ გუნდებს შორის, დეტალური მონაცემების ნახვა შესაძლებელია დანართში **(ცხრილი 2B)**, საიდანაც ირკვევა, რომ ყველაზე მაღალი მწველობის მაჩვენებელი ზოგადპოპულაციურ ნიმუშში - 25% დაფიქსირდა ჰჯდ გუნდში - PHC 3 – EG და ჰჯდ გუნდში PHC 9 – IC და ყველაზე დაბალი 1.7% დაფიქსირდა ჰჯდ გუნდებში - PHC 1 – MB; PHC 4 – NG; PHC 8 – IM.

თვალსაჩინოდ მაღალია განსხვავება ზოგადპოპულაციაში - თანმხლები ისტორია CVD – 65% - PHC 2 LG და ყველაზე დაბალი 10% - PHC 5 NK და PHC 7 – NL.

პროცესები და გამოსავლები (ცხრილი 3A, 3B; ცხრილი 5A, 5B)

პროცესები და გამოსავლები შეფასდა ზოგადპოპულაციური ნიმუშის პაციენტებში **(ცხრილი 3A, 3B)**, ასევე, ცალკე შეფასდა პაციენტებში ჰიპერტენზიით და სხვა გულ-სისტემის დაავადებით **(ცხრილი 5A, 5B)**.

2019 წელთან შედარებით, 2023 წელს დაემატა ახალი ინდიკატორები: კრეატინინის/eGFR განსაზღვრა, მიკროალბუმინურიაზე ტესტირება, მითითებულია ჰიპერტენზიის/დიაბეტის დიაგნოზის დასმის თარიღი, ნეიროპათიის, პერიფერიული სისხლძარღვოვანი დაავადების გამოვლენა, ფეხების დათვალიერება, ფუნდოსკოპია და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ 2023 წლისათვის ძალიან მნიშვნელოვანი, პოზიტიური ცვლილებებია პროცესის ინდიკატორების გაზომვის შედეგებში, 2019 წელთან შედარებით.

უფრო კონკრეტულად, ზოგადპოპულაციურ ნიმუშის კვლევისას, გამოვლინდა, რომ მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ჩანაწერები მწველობასთან და სხეულის მასის ინდექსის გამოთვლასთან დაკავშირებით, უფრო ხშირად ხდება წნევის გაზომვა, მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ლიპიდური პროფილის კვლევები, შაქრის/გლიკირებული ჰემოგლობინის, კარდიო-ვასკულური შეფასების მაჩვენებლები.

მცირედით, მაგრამ მაინც შემცირებულია სიმსუქნის გავრცელება.

თუმცა შემცირებულია ნორმალური არტერიული წნევით (SBP/DBP < 140/90 mmHg) პაციენტების რაოდენობა, რაც იმით აიხსნება, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა ჰიპერტენზიის/კარდიო-ვასკულური დაავადებების გამოვლენა და აღინიშნა

მაღალი ასაკი პაციენტების მომართვიანობის მატებამ 60-79 წლის ასაკში, შეადგინა - 22.5%-ით.

საერთო ქოლესტერინი კოტროლირებულია (TC<194mg/dl) - 38,3% -ში. თუკი აღნიშნულ მონაცემს შევადარებთ ევროპის საუკეთესო ქვეყნების მონაცემებს, დავინახავთ რომ არც თუ საგანგაშოა ჩვენი მონაცემები. მაგ.: ქოლესტერინის ყველაზე ყოვლისმომცველი კვლევა, რომელიც ოდესმე ჩატარებულა დიდ ბრიტანეთში, დაადგინა, რომ ბრიტანელების 54% შეიძლება ჰქონდეს მაღალი ქოლესტერინის დონე. ინგლისის საზოგადოებრივი ჯანდაცვა, აცხადებს, რომ ინგლისში მოზრდილთა 60%-ს აქვს მაღალი ქოლესტერინი, მაშინ როდესაც ხელმისაწვდომობა დისლიპიდემიის მართვის მაღალი ხარისხის და კომბინირებულ მედიკამენტებთან შეუზღუდავია, ხოლო საქართველოში ხელმისაწვდომია მხოლოდ ატორვასტატინი, რაც ართულებს აღნიშნული მდგომარეობის მართვას.

ზოგადმონაცემთა ნაკრები (ცხრილი 3A, 3B)

პროცესისა და გამოსავლების ინდიკატორები	2019	2023	min	max
მწველობის სტატუსი მითითებულია	61(152/249)	86.1(465/540)	1.7%	100%
არტერიული წნევა გაზომილია X 1-ჯერ	84.3(210/249)	95,4(515/540)	75%	100%
არტერიული წნევა გაზომილია X 2-ჯერ	41.4(103/249)	67,4(364/540)	31.7%	96.7%
HbA1c - ტესტირება	1.6(4/249)	7,0(38/540)	0%	15%
უზმოზე გლუკოზა - ტესტირება	27.7(69/249)	77,6(419/540)	27%	98.3%
საერთო ქოლესტერინის განსაზღვრა - TC	18.5(46/249)	85,7(463/540)	45%	100%
LDL - ტესტირება ჩატარებულია	3.6 (9/249)	39,4(213/540)	6.7%	61.7%
BMI ჩანაწერი	45(112/249)	77(416/540)	5%	100%
BMI - არასაანგარიშო პერიოდში	47(117/249)	0,0(0/540)	NA	NA
სიმსუქნე (BMI ≥ 30 kg/m2)	29.9(35/117)	28,3(153/540)	3.3%	51.7%
რისკის ქულა - შეფასებულია	0.0(9/249)	25,0(135/540)	0%	80%
WHO/ISH risk score calculated - არასაანგარიშგებო პერიოდში	85.1(212/249)	73,3(396/540)	46.7%	100%
სულ, შეფასებული რისკები მ.შ.				
დაბალი რისკი	NA	24,1(128/531)	5%	51.9%
საშულო რისკი	NA	23,5(125/531)	1.9%	33.3%
მაღალი/ძალიან მაღალი რისკი მ.შ.	85.1(212/249)	52,4(278/531)	41.7%	70%
მაღალი/ძალიან მაღალი რისკი	40.1(85/212)	39,9(111/278)	4.7%	72%

მაღალი/ძალიან მაღალი რისკი + CVD	26/4(56/212)	44,3(123/278)	15.8%	90.5%
მაღალი/ძალიან მაღალი რისკი +CVD + DM	33.5 (71/212)	15,8(44/278)	4.8%	50%
გამოსავლის ინდიკატორები				
არტერიული წნევა < 140/90 mmHg	83.3(175/210)	47,4(256/540)	20%	66.7%
საერთო ქოლესტერინი TC< 194mg/dl	NA	38,3(207/540)	20%	65%
მაღალი რისკის პაციენტებში LDL (≤ 75 მგ/დლ ბოლო ვიზიტის დროს)	NA	0,4(2/540)	0%	3.3%

რაც შეეხება განსხვავებებს ჰჯდ გუნდებს შორის, დეტალური მონაცემების ნახვა შესაძლებელია დანართში **(ცხრილი 3B)**, საიდანაც ვლინდება, რომ ზოგადპოპულაციაში ყველაზე დაბალი მაჩვენებელი - მწველობის სტატუსი მითითებულია არის 1.7% - PHC 4 - NG, ყველაზე მაღალი კი - 100% - PHC 3 – EG; PHC 5 – NK; PHC 7 – NL.

უზმოზე გლუკოზა - ტესტირება საშუალოდ ჩატარებულია - 77.6%-ში, საიდანაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 98,3% დაფიქსირდა PHC 6 – VK, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 27% - PHC 9 – IC.

საერთო ქოლესტერინის ტესტირების საშუალო მაჩვენებელი ზოგადპოპულაციაში შეადგენს - 85.7%, მ.შ. ყველაზე მაღალი მაჩვენებელია - 100% - PHC 6 – VK, ხოლო ყველაზე დაბალი 45% - PHC 9 – IC.

ასეთივე განსხვავებულია სხვა მონაცემებიც, მაგ.: BP ნორმალური არტერიული წნევა ბოლო ვიზიტზე (SBP/DBP < 140/90 mmHg) - ყველაზე მაღალი მაჩვენებელი შეადგენს 66.7% აღინიშნება - PHC 2 – LG, ხოლო ყველაზე დაბალი 20% - PHC 4 – NG (დაწესებულების საშუალო მაჩვენებელი 47.4%-ია, რაც 2019 წელთან შედარებით მნიშვნელოვნადაა შემცირებული (7 ექიმის მონაცემი ნაკლებია საშუალო მაჩვენებელზე).

საერთო ქოლესტერინი კოტროლირებულია (TC<194mg/dl) - დაწესებულების საშუალო მაჩვენებელი 38.3%-ია (2019 წ არ გაზომილა), ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 65% დაფიქსირდა ოჯახის ექიმის გუნდში - PHC 6 – VK, ხოლო ყველაზე დაბალი 20% - PHC 9 – IC, საშუალო მაჩვენებლის ქვემოთ ხვდება 5 ოჯახის ექიმის შედეგი.

აღნიშნული მონაცემები, დაწესებულების 2019-2023 წლების საშუალო/მაქსიმალური/მინიმალური მონაცემები გუნდების მიხედვით, იხილეთ დანართებში.

ქვემოთ, განხილულია კვლევის შედეგები ზოგადი პოპულაციის პაციენტებში ჰიპერტენზიით და სხვა გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებით (ცხრილი 5A, 5B)

2019 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული მომსახურების ხარისხი პაციენტებში ჰიპერტენზიითა და გულ-სისხლძარღვთა სხვა დაავადებებით.

თუმცა ექიმების განსხვავებული მიდგომები და ქცევა ვლინდება (table 5B) ზოგადპოპულაციის პროცესისა და გამოსავლების შესწავლის დროსაც. მაგ.: კრეატინინის ($\mu\text{mol/L}$) ყველაზე მაღალი მაჩვენებელი პაციენტებში გულს-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებით, ვლინდება 93.3% - PHC 8 – IM, ხოლო ყველაზე დაბალი - 20.5% - PHC 2 – LG. ასევე, მსგავსად განსხვავებულია სხვა კვლევების სტრუქტურა და ექიმის/პჯდ გუნდის ქცევა, რომელიც ცალკე განხილვის თემაა.

პაციენტებში, ჰიპერტენზიით და სხვა გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებით (ცხრილი 5A)

პროცესებისა და გამოსავლების ინდიკატორი		
ზოგადი პოპულაცია		
პაციენტები გულს-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებით	2023	2019
მწველობის სტატუსი მითითებულია	88,2(127/144)	63,0(34/54)
მწველი ქალი*	8,0(7/87)	NA
მწველი მამაკაცი (სულ)*	30,0(12/40)	NA
არტერიული წნევა - გაზომილია 1-ჯერ	96,5(139/144)	87,0(47/54)
არტერიული წნევა - გაზომილია 2-ჯერ	79,2(114/144)	48.1(26/54)
საერთო ქოლესტერინის განსაზღვრა	82,6(119/144)	24.1(13/54)
LDL - ტესტირება ჩატარებულია	41,0(59/144)	7.4(4/54)
განისაზღვრა კრეატინინი ($\mu\text{mol/L}$)	59,7(86/144)	NA
განისაზღვრა eGFR (ml/min/1.73m^2)	38,9(56/144)	NA
განისაზღვრა eGFR (ml/min/1.73m^2) – 2024	20,8(30/144)	NA
მიკროალბუმინურიაზე ტესტირება	0,7(1/144)	NA
პულსაციის შემოწმება ქვემო კიდურებზე	6,3(9/144)	NA
განისაზღვრა მხარ-გოჯის ინდექსის (ABI)	0,0 (0/144)	NA
BMI ჩანაწერი არსებობს საანგარიშო პერიოდში	80,6(116/144)	33.3(18/54)
BMI გაზომილია არასაანგარიშო პერიოდში	0,0(0/144)	31.5(17/54)
სიმსუქნე ($\text{BMI} \geq 30 \text{ kg/m}^2$)	30,6(44/144)	35.3(6/17)
დანიშნულია სტატინი	68,8(99/144)	40.7(22/54)
დანიშნულია ასპირინი ან კლოპიდოგრელი	83,3(120/144)	48.1(26/54)
დანიშნულია ანტიჰიპერტენზიული მედიკამენტები	89,6(129/144)	70.4(38/54)

დანიშნულია მკურნალობა სამივე მედიკამენტით	55,6(80/144)	27.8(15/54)
არტერიული SBP/DBP < 140/90 mmHg	56,9(82/144)	27.7(13/47)
საერთო ქოლესტერინი TC < 194mg/dl	43,1(62/144)	61.5(8/13)
პაციენტებში ჰიპერტენზიით		
მწველობის სტატუსი მითითებულია	87,5(365/417)	66(108/164)
მწველი ქალი*	8,4(24/286)	3.3% (4/120)
მწველი მამაკაცი (სულ)*	27,8(22/79)	16.9(11/65)
არტერიული წნევა - გაზომილია 1-ჯერ	96,6(403/417)	91.5(150/164)
არტერიული წნევა - გაზომილია 2-ჯერ	74,3(309/417)	52.4(86/164)
საერთო ქოლესტერინი - ტესტირება	87,5(365/417)	21.3(35/164)
LDL - ტესტირება ჩატარებულია	40,0(167/417)	3.7(6/164)
განისაზღვრა კრეატინინი ($\mu\text{mol/L}$)	54,7(228/417)	NA
განისაზღვრა eGFR (ml/min/1.73m ²) - საანგარიშგებო პერიოდში	25,98(108/417)	NA
განისაზღვრა eGFR (ml/min/1.73m ²) - არასაანგარიშგებო პერიოდში	28,8(120/417)	NA
მიკროალბუმინურიაზე ტესტირება	0,5(2/417)	NA
პულსაციის შემოწმება ქვემო კიდურებზე	7,2(30/417)	NA
განისაზღვრა მხარ-გოჯის ინდექსის (ABI)	0,2(1/417)	NA
გაიგზავნა ფუნდოსკოპიისთვის სპეციალისტთან	8.9(37/417)	NA
BMI ჩანაწერი არსებობს	84,7(353/417)	48.2(79/164)
BMI გაზომილია არასაანგარიშგებო პერიოდში	0,0(0/417)	49.4(81/164)
სიმსუქნე - BMI \geq 30 kg/m ²	31,2(130/417)	32.1 (26/81)
დანიშნულია სტატინი	57,8(241/417)	20.7(34/164)
დანიშნულია ასპირინი/კლოპიდოგრელი	53,7(224/417)	34.1(56/164)
დანიშნულია ანტიჰიპერტენზიული მედიკამენტები	89,2(372/417)	65.9(108/164)
დანიშნულია მკურნალობა სამივე მედიკამენტით	37,4(156/417)	12.2(20/164)
გამოსავლების ინდიკატორი		
წნევა ნორმალურია (SBP/DBP < 140/90 mmHg)	73,4(306/417)	24(36/150)
მაღალი რისკის პაციენტებში LDL- ქოლესტერინი (LDL - C \leq 75მგ/დლ ან non-HDL \leq 105 mg/dl ბოლო ვიზიტისას	3,8(16/417)	NA
საერთო ქოლესტერინი TC < 194mg/dl	39,8(166/417)	31.4(11/35)

ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის მონაცემთა ნაკრები

დემოგრაფიული მონაცემები (ცხრილი 1A, 1B)

ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის ნიმუშში, რომელიც შეირჩა რეგისტრებიდან, განხილული იყო 108 პაციენტის სამედიცინო ჩანაწერი - შედეგები წარმოდგენილია დანართების სახით (ცხრილი 1A).

მიღებული მონაცემები შედარებული იქნა 2019 წელს ჯანმოს/დანის პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგებთან, რამაც გამოავლინა, რომ:

- 2019 წელს დიაბეტის ნიმუშის ვიზიტების სტრუქტურაში პაციენტების საშუალო ასაკია 67 წელი, 2023 წელს - 70 წელი;
- სქესის მიხედვით, ჭარბობს ქალების ვიზიტი და შეადგენს 2019წ - 66.3%-ს, ხოლო 2023 წ - 69.4%-ია;
- არაერთგვაროვანია წარმოდგენილი მაჩვენებლები პჯდ გუნდების მიხედვით, ასაკობრივი და სქესის ჭრილში, 2023 წლის დეტალური მონაცემები შეგიძლიათ იხილოთ დანართში - ცხრილი 1B; საიდანაც ირკვევა, რომ დაწესებულების საშუალო ასაკი - არის 67 წელი, ხოლო ყველაზე მაღალი საშუალო ასაკი - 76 წელი, დაფიქსირდა პჯდ გუნდში - PHC 7 – NL და ყველაზე დაბალი - 65 წელი დაფიქსირდა პჯდ გუნდში - PHC 4 – NG - ცხრილი 1B.

2019-2023 წლების დემოგრაფიული მონაცემები, წარმოდგენილია ქვევით:

დემოგრაფიული მახასიათებლები	პჯდ გუნდები			
დიაბეტის ნიმუში				
სქესი/ასაკი	2019	2023	min	max
ქალი, % (n/N)	66.3(173/261)	69.4(75/108)	33.3%	91.7%
მამაკაცი, % (n/N)	33.7(88/261)	30.6(33/108)	8.3%	66.7%
ასაკი, საშუალო (IQR)	67(59-72)	70(44-87)	65%	76%
18-39 წწ, % (n/N)	1.1(3/261)	0.0(0/108)	0%	0%
40-49 წწ, % (n/N)	6.1(16/261)	3.7(4/108)	0%	16.7%
50-59 წწ, % (n/N)	18(47/261)	10.2(11/108)	0%	16.7%
60-69 წწ, % (n/N)	36.4(95/261)	31.5(34/108)	8.3%	50%
70-79 წწ, % (n/N)	29.5(77/261)	46.3(50/108)	25%	75%
80+ წწ, % (n/N)	8.8(23/261)	8.3(9/108)	0%	16.7%

პროცესები და გამოსავლები (ცხრილი 4A, 4B, 4C, 4D).

პროცესები და გამოსავლები, ასევე, შეფასდა პაციენტებში ტიპი 2 დიაბეტით როგორც ორივე ნიმუშში (ცხრილი 4A, 4B), ასევე ცალკე, ზოგადი ნაკრებიდან შერჩეულ დიაბეტის ნიმუშში (ცხრილი 4C, 4D).

2023 წლისათვის დიაბეტის მონაცემთა ნაკრების კვლევის შედეგების მიმოხილვისას, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი, პოზიტიური ცვლილებებია პროცესის ინდიკატორების გაზომვის შედეგებში, 2019 წელთან შედარებით.

2019 წელთან შედარებით, 2023 წელს დაემატა ახალი ინდიკატორები:

- კრეატინინის/eGFR განსაზღვრა
- მიკროალბუმინურიაზე ტესტირება
- მითითებულია ჰიპერტენზიის/დიაბეტის დიაგნოზის დასმის თარიღი
- შეფასდა ჰიპოგლიკემიის რისკი
- ნეიროპათიული გართულებები
- პერიფერიული სისხლძარღვოვანი გართულებები (პულსაციის შემოწმება ქვემო კიდურებზე, ჩაუტარდა მხარ-გოჯის ინდექსის (ABI) გამოკვლევა)
- ფუნდოსკოპია
- და სხვა გართულებები.

ამკარად ვლინდება მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, უფრო კონკრეტულად, ტიპი 2 დიაბეტის ნიმუშის კვლევისას, რომ:

- მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ჩანაწერები მწვეულობასთან დაკავშირებით როგორც ცხრილიდან ირკვევა, მწვეულების რაოდენობა 2023 წელს, დიაბეტის ნიმუშში მნიშვნელოვნადაა გაზრდილი და შეადგენს 19.4%-ს, რაც მიუთითებს მწვეულობის სტატუსის შეფასების შედეგად, მისი გამოვლენის გაზრდაზე - 2019 წელს მწვეულობის სტატუსი დიაბეტის ნიმუშში მითითებული იყო - 65.5% და ხოლო 2023 წელს - 89.9% (ცხრილი 3A). აღსანიშნავია, რომ STEPS 2016 წლის კვლევების მონაცემების მიხედვით, ასაკობრივი კატეგორიის გათვალისწინებით, 60-69 ასაკში მწვეულობა შეადგენს 19% მამაკაცებში და 4% ქალებში.
- მნიშვნელოვნადაა გაზრდილი სხეულის მასის ინდექსის გამოთვლა
- უფრო ხშირად ხდება წნევის გაზომვა (გაზრდილია წნევის გაზომვის და ასევე, გაზომვის სიხშირის მაჩვენებლები)
- მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ლიპიდური პროფილის კვლევების რაოდენობა
- გაზრდილია შაქრის/გლიკირებული ჰემოგლობინის კვლევების რაოდენობა
- კარდიო-ვასკულური რისკების შეფასების მაჩვენებლები
- მცირედით, მაგრამ მაინც შემცირებულია სიმსუქნის გავრცელება
- გაუმჯობესებულია ჰიპერტენზიის მართვის შედეგები

- გაუმჯობესებულია ქოლესტერინის კონტროლის მონაცემები
- მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული თანმხლები კარდიო-ვასკულური დაავადებების პრევენციული მკურნალობის ხარისხი, რაც ზოგადად, პირდაპირ აისახება გართულებების შემცირებაზე. გაუმჯობესებულია წნევის კონტროლის მაჩვენებელიც.
- მაღალი ასაკი პაციენტების მომართვიანობის მატებას, აქაც აქვს ადგილი და 69-79 წლის ასაკში, ზრდამ შეადგინა - 17%-მდე.

თუმცა, ძალიან დაბალია მონაცემები, სამიზნე ორგანოების დაზიანების დროულად გამოვლენის მიზნით განსახორციელებელ აქტივობებზე (მიკროალბუმინურიაზე ტესტირება, პულსაციის შემოწმება ქვემო კიდურებზე, მხარ-გოჯის ინდექსის (ABI) გამოკვლევა, ტერფის პრობლემების შეფასება, შეფასება ნეიროპათიის გამოვლენის მიზნით, ჰიპოგლიკემიის რისკის განსაზღვრა და ა.შ.).

2019 წელთან შედარებით გაზრდილია ენდოკრინოლოგთან რეფერალის მაჩვენებელი 12.8%-დან 32%-მდე (**ცხრილი 4A**), რაც ძირითადად 2 ოჯახის ექიმის ენდოკრინოლოგთან გაგზავნის მონაცემების შედეგია - 79%-მდე PHC 5 - NK და 71%-მდე PHC 7 - NL (**ცხრილი 4B**).

განსაკუთრებით დაბალია გაგანიერებული გუგით ფუნდოსკოპიის მაჩვენებელი, რაც საჭიროებს მნიშვნელოვან ყურადღებას.

რაც შეეხება განსხვავებებს პჯდ გუნდებს შორის, დეტალური მონაცემების ნახვა შესაძლებელია დანართში (**ცხრილი 4B**), საიდანაც ვლინდება, რომ დიაბეტის ნიმუშიდან ყველაზე დაბალი მაჩვენებელი - მწვეველობის სტატუსი მითითებულია არის 50% - PHC 4 - NG, ყველაზე მაღალი კი - 100% - PHC 3 – EG; PHC 5 – NK; PHC 6 – VK; PHC 7 – NL. PHC 9 – IC;

უზმოდ გლუკოზაზე ტესტირება - ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 100% - PHC 3 – EG; PHC 4 – NG; PHC 6 – VK, PHC 7 – NL; PHC 8 IM, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 27% - PHC 9 – IC (საშუალო - 91.1%).

საერთო ქოლესტერინის განსაზღვრულია - 100% - PHC 6 – VK, ხოლო ყველაზე დაბალი 73.7% - PHC 9 – IC (საშუალო - 88.8%).

წნევა ნორმალურია (SBP/DBP < 130/80 mmHg) - საშუალო - 33.1% - ყველაზე მაღალი 73,7%- PHC 9 – IC, ხოლო ყველაზე დაბალი 14.3% - PHC 5 – NK.

ასეთივე განსხვავებულია სხვა მონაცემებიც, რაც განხილული იქნება დისკუსიის ნაწილშიც.

ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის მონაცემთა ნაკრები - ორივე ნიმუშში (ცხრილი 4A, 4B)

პროცესისა და გამოსავლების ინდიკატორები

დიაბეტის ორივე ნიმუშში	2019	2023	min	max
მწველობის სტატუსი მითითებულია	65.5(190/290)	89,9(162/169)	84.2%	100%
არტერიული წნევა X 1-ჯერ	92.8(269/290)	99,1(162/169)	80.8%	100%
არტერიული წნევა X 2-ჯერ	62.1(180/290)	72,8(123/169)	34.6%	100%
HbA1c - ტესტირება	16.6(48/290)	34,3(58/169)	11.5%	66.7%
უზმონზე გლუკოზა - ტესტირება	54.8(159/290)	91,1(154/169)	60%	100%
საკვების მიღებიდან 2 სთ-ში გლუკოზა	NA	5,3(9/169)	0%	29.4%
საერთო ქოლესტერინი TC	46.2(134/290)	88,8(150/169)	53.3%	100%
LDL - ტესტირება ჩატარებულია	13.4(39/290)	49,1(83/169)	13.3%	76.5%
განისაზღვრა კრეატინინი ($\mu\text{mol/L}$)	NA	83,4(141/169)	46.7%	100%
eGFR საანგარიშგებო პერიოდში	NA	45,6(77/169)	3.8%	100%
eGFR არასაანგარიშგებო პერიოდში	NA	37,9(64/169)	0%	66.7%
მიკროალბუმინურიაზე ტესტირება	NA	1,8(3/169)	0%	10.5%
პულსაცია ქვემო კიდურებზე	NA	14,8(25/169)	0%	47.1%
მხარ-გოჯის ინდექსი (ABI)	NA	1,2(2/169)	0%	5.9%
ტერფის პრობლემების შეფასება	NA	23,1(39/169)	0%	73.7%
გასინჯვა ნეიროპათიის გამოსავლენად	NA	20,1(34/169)	0%	68.4%
შეფასებულია ჰიპოგლიკემიის რისკი	NA	11,2(19/169)	0%	72.2%
BMI ჩანაწერი საანგარიშო პერიოდში	60.0(174/290)	82,2(139/169)	21.1%	100%
BMI არასაანგარიშო პერიოდში	62.1(180/290)	0,0(0/169)	0%	0%
სიმსუქნე (BMI ≥ 30 kg/m ²)	39.4(71/180)	37,3(63/169)	15.8%	57.1%
რისკის ქულა - საანგარიშო პერიოდში	0,0 (0/290)	20,1(34/169)	0%	63.2%
WHO/ISH risk score calculated -2024	93.4(271/290)	78,7(133/169)	36.9%	100%
სულ, შეფასებულია რისკის ქულა მ.შ.	93.4(271/290)	98,8(167/169)	92.3%	100%
დაბალი რისკი	NA	5,3(9/169)	0%	19.2%
საშუალო რისკი	NA	24,9(42/169)	0%	58.8%
სულ, მაღალი/ძალიან მაღალი რისკი	NA	68,6(116/169)	35.8	100%
მაღალი/ძალიან მაღალი რისკი CVD - ის გარეშე	39.3(114/290)	47,4(55/116)	7.7%	64%
გაიგზავნა ენდოკრინოლოგთან				
არა	87.2(253/290)	68.0 (115/169)	21.4%	88.9%
კი - მ.შ.	12.8(37/290)	32,0(54/169)	11.6%	78.6%
სადიაგნოსტიკოდ	0 (0/290)	4,1(7/169)	0%	35.7%

მკურნალობისა და მიმდინარე მეთვალყურეობის მიზნით	11.4(33/290)	24,9(42/169)	0%	42.9%
ყველა ზემოაღნიშნულის გამო	1.4(4/290)	4,3(5/169)	0%	11.1%
გაიგზავნა ფუნდოსკოპიისთვის	NA	24,9(42/169)	0%	100%
დაუდგინდა რეტინოპათია	NA	9,5(4/42)	0%	11.1%
ანტიდიაბეტური მედიკამენტური მკურნალობა				
მედიკამენტური მკურნალობა: არა	5.5(16/290)	7,1(12/169)	0%	15.4%
მკურნალობს - ტაბლეტებით	70.3(204/290)	84,0(142/169)	73.7%	94.4%
მკურნალობს - ინსულინით	20.3(59/290)	3,0(5/169)	0%	11.8%
ტაბლეტები & ინსულინი	3.8(11/290)	1,8(3/169)	0%	8.3%
დანიშნულია სტატინი	33.4(97/290)	72,8(123/169)	40%	100%
დანიშნულია ასპირინი/კლოპიდოგრელი	44.8(130/290)	64,5(109/169)	21.4%	100%
დანიშნულია არტიჰიპერტენზიული მედიკამენტები	66.2(192/290)	83,4(141/169)	61.5%	94.1%
მკურნალობა სამივე მედიკამენტით	19.3(56/290)	44,4(75/169)	15.8%	94.1%
გამოსავლების ინდიკატორი				
წნევა ნორმალურია < 130/80 mmHg	23.4(63/269)	33,1(56/169)	14.3%	73.7%
უზმოდ გლუკოზა FG < 7 mmol/l	42.1(67/159)	32,5(55/169)	6.7%	42.1%
სისხლში საკვების მიღებიდან 2 სთ-ში გლუკოზა <11mmol/l	NA	4,1(7/169)	0%	29.4%
საერთო ქოლესტერინი TC < 194mg/dl	44.8(60/134)	42,0(71/169)	6.7%	77.8%
მაღალი რისკის პაციენტებში LDL-ქოლესტერინი (LDL - C ≤ 75მგ/დლ ბოლო ვიზიტის დროს)	NA	32,0(54/169)	5.9%	70.6%

თითქმის მსგავსია სურათი ცალკე დიაბეტისა ნიმუშის კვლევების შედეგად მიღებულ მონაცემებში, რაც დიაბეტის ორივე ნიმუშში, რომლის შედეგები ზევითაა მოცემული.

2019 წელთან შედარებით გაზრდილია ენდოკრინოლოგთან რეფერალის მაჩვენებელი 12.8%-დან 32%-მდე (**table 4C**), რაც ძირითადად 2 გუნდის ენდოკრინოლოგთან გაგზავნის მონაცემების შედეგია - 83% **PHC 5 - NK** და 75% **PHC 7 - NL (table D)**.

კომპანიის შიგნით ვიზიტების განსხვავებული სტრუქტურა და ექიმის/პჯდ გუნდის განსხვავებული ქცევა, გუნდების მიხედვით შესაძლებელია დანართში (**table 4D**).

სხვა მაჩვენებლები

აუდიტის პროცესში შესწავლილი იქნა, ასევე, სხვა საკითხები, რომელიც მოიცავს დიაგნოზის დასმის დროს ჰიპერტენზიის/დიაბეტის დიაგნოსტიკების თარიღის მითითებას; დიაბეტის/ჰიპერტენზიისა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის სხვა დაავადებების/თირკმლის ქრონიკული დაავადების პრევალენტობას და ინციდენტობას, რომელიც ასევე, ძალიან განსხვავებულია პჯდ გუნდების მიხედვით.

გამოვლინდა	სულ	min	max
მითითებულია ჰიპერტენზიის გამოვლენის თარიღი	46,6% (240/515)	0%	100%
მითითებულია დიაბეტის დიაგნოზის დასმის თარიღი	49,7% (84/169)	0%	100%
დიაბეტის გავრცელება/პრევალენსი	2,8% (789/28401)	1.9%	5.6%
ჰიპერტენზიის გავრცელება/პრევალენსი	15,3% (4351/28401)	11.3%	31.9%
ჰიპერტენზიის ახალი შემთხვევები	385	3	91
დიაბეტის ახალი შემთხვევები	409	9	111
დადგენილია თანმხლები CVD/სხვა დაავადებები - ზოგადპოპულაციურ ნიმუშში			
ჰიპერტენზია, % (n/N)	77.2% (417/540)	55	100
დიაბეტი, % (n/N)	11.3% (61/540)	3.3	23.3
